LLC united water supply company of georgia
Digitally signed by LLC united water supply company of georgia
Date: 2023.10.27 12:06:09 +04'00'

UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია

ქ. თბილისი

ოქტომბერი, 2023 წელი

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დირექტორის 2017 წლის 18 ივლისის N200 ბრძანებით შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი N1

ქალაქ ნინოწმინდისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფლების დიდი ხანჩალის, კატნატუსა და ოროჯოლარის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის მშენებლობის შესყიდვის შესახებ

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:

1. **ალექსანდრე თევდორაძე** - კომპანიის დირექტორი.

სატენდერო კომისიის წევრები:
2. **ნინო ნაროზაშვილი** - დირექტორის მოადგილე;
3. **აკაკი მშვიდობაძე** - დირექტორის მოადგილე;
4. **ირაკლი ნაფეტვარიძე** - დირექტორის მოადგილე ტექნიკურ საკითხებში;
5. **სალომე ვაშაკიძე** - დირექტორის მოადგილე ფინანსურ საკითხებში;
6. **გუგა კაკაბაძე** - დირექტორის მოადგილე;
7. **ლევან ლატარია** - იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
8. **ვახტანგ შავგულიძე** - სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი;
9. **რამაზ კობახიძე** - ლოგისტიკის დეპარტამენტის უფროსი;
10. **სერგო გეგეშიძე** - სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების მართვისა და ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი.

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:
11. **მარიამ საჯაია** - სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი.
12. **ნინო თაბაგარი** - სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის ანგარიშგების სამსახურის უფროსი.
13. **ნათია ელიავა** - სახელმწიფო შესყიდვების სამსახურ II კატეგორიის მთავარი სპეციალისტი.

<u>**დღის წესრიგი:**</u>

ქალაქ ნინოწმინდისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფლების დიდი ხანჩალის, კატნატუსა და ოროჯოლარის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის მშენებლობის შესყიდვის განხორციელების მიზნით, სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტის დამტკიცება.

<u>**მოისმინეს:**</u>

სატენდერო კომისიის აპარატმა სხდომაზე დამსწრე პირებს წარუდგინა **ქალაქ ნინოწმინდისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფლების დიდი ხანჩალის, კატნატუსა და ოროჯოლარის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის მშენებლობის შესყიდვის** თაობაზე ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტის და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი. ასევე, ტექნიკურ საკითხებში დირექტორის მოადგილის 2023 წლის 24 ოქტომბრის № 1-137754 მოხსენებითი ბარათი და ტექნიკური დავალება.

<u>განიხილეს:</u>

სატენდერო კომისიის წევრები გაეცნენ სატენდერო კომისიის აპარატის მიწოდებულ ინფორმაციას და განიხილეს წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

სატენდერო კომისიის წევრებმა ყურადღება გაამახვილეს შემდეგ გარემოებებზე:

- შესყიდვის საშუალებად განისაზღვროს **ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT).** ტენდერი გამოცხადდეს უახლოესი სამი სამუშაო დღის განმავლობაში.

- შესყიდვის ობიექტის CPV კოდი: 45232150 - წყლის გამანაწილებელ მილსადენებთან დაკავშირებული სამუშაოები.

- დაფინანსების წყარო: 2023-2028 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.

- შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვორს 42 488 990.00 ლარი. ტექნიკურ საკითხებში დირექტორის მოადგილის 2023 წლის 24 ოქტომბრის № 1-137754 მოხსენებით ბარათის შესაბამისად.

- ქალაქ ნინოწმინდის 24 საათიან წყალმომარაგებასთან დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოების (ხარჯთაღრიცხვის თავები: A-1; A-2; A-3; A-4; A-5; A-9; A-10; A-13) განხორციელების ვადაა, შემსყიდველის მიერ სამუშაოების დაწყებაზე წერილობითი შეტყობინების გაცემიდან 2025 წლის 25 დეკემბერი. დანარჩენი სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ვადაა 2026 წლის 25 დეკემბერი. ხოლო ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის ვადა განისაზღვრება სამშენებლო სამუშაოების დასრულების დღიდან 30 კალენდარული დღით. ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის ვადა განისაზღვრება სამუშაოების დასრულების დღიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით.

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ოდენობა განისაზღვროს სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის ოდენობით, ხოლო სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში გარანტიის ოდენობა განისაზღვროს - 10%-ის ოდენობით. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ტენდერის სავარაუდო ღირებულების, ასევე, შესრულებული სამუშოების სირთულისა და მოცულობის და მიწოდების ვადის გათვალისწინებით, განისაზღვრა პრეტენდენტის გამოცდილების მიმართ ქვემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნები:

პრეტენდენტს 2017 წლის 1 იანვრიდან ტენდერის გამოცხადების დღემდე, საქართველოს ტერიტორიაზე ან/და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე (უცხო ქვეყნის შემთხვევაში გარდა იმ ქვეყნის ტერიტორიისა, სადაც რეგისტრირებულია პრეტენდენტი), ერთი შესრულებული ხელშეკრულების ფარგლებში დასრულებული უნდა ჰქონდეს სასმელი წყლის წყალმომარაგების ან/და საყოფაცხოვრებო წყალარინების ან/და მსგავსი სამუშაოები (სატუმბო სადგურები, სადაწნეო მილები, სასმელი წყლის ჭაბურღილები, თვითდენითი სანიაღვრე მილების მოწყობის სამუშაოები), ღირებულებით არანაკლებ წინამდებარე ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 50%-ის ოდენობისა ან არაუმეტეს 5 (ხუთი) შესრულებული ხელშეკრულების ფარგლებში დასრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოები ღირებულებით წინამდებარე ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების არანაკლებ 60%-ისა“

კომისიამ ასევე განიხილა სხვა მოთხოვნები ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირების მიმართ. დადგინდა სარეგისტრაციო-უფლებრივი მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი, ასევე, მოთხოვნები ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის და სხვა დამატებითი პირობებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახულია სატენდერო დოკუმენტაციასა და განცხადების პროექტში.

სატენდერო კომისია ერთხმად დაეთანხმა ზემოაღნიშნულ პირობებს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში ატვირთული სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით ელექტრონული ტენდერის გამოცხადება

<u>**დაადგინეს:**</u>

1. დამტკიცდეს, **ქალაქ ნინოწმინდისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფლების დიდი ხანჩალის, კატნატუსა და ოროჯოლარის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის მშენებლობის შესყიდვის** მიზნით ჩასატარებელი ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია და სატენდერო განცხადების პროექტი, სატენდერო კომისიის წევრების მიერ გამოთქმული წინადადებების გათვალისწინებით.
2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს, არაუგვიანეს სამი სამუშაო დღის განმავლობაში უზრუნველყოს ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე (NAT) გამოცხადება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:

ალექსანდრე თევდორაძე _____

სატენდერო კომისიის წევრები:

ნინო ნაროზაშვილი _____ აკაკი მშვიდობაძე _____

ირაკლი ნაფეტვარიძე _____ სალომე ვაშაკიძე _____

რამაზ კობახიძე _____ გუგა კაკაბაძე _____

ვახტანგ შავგულიძე _____ ლევან ლატარია _____

სერგო გეგეშიძე _____

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:

მარიამ საჯაია _____

ნინო თაბაგარი _____

ნათია ელიავა _____